

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ЛЕЛО

№ 143 (7454)

26 ივლისი, სამშაბათი. 1983 წ.

ფასი 3 კაპ.

აჭარისტანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ქართველ ძიუდოისტთა ტრიუმფი

საქართველოს ფალავანი სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონია!

მთხზა ისე, რომ სპარტაკიადის გუნდური პირველობის ბედი შეჯიბრების ბოლო დღეს უნდა გადაეწყვიტა აბსოლუტური კატეგორიის ძიუდოისტთა ასპარეზობას:. ყველაფერი დამოკიდებული იყო საქართველოს ფალავნის მაღაზე ბეროშვილის გამოსვლაზე, ვინაიდან მისი პირველივე გამარჯვება ესტონელ სერგეი იაკუბინთან 15 ქულასა და საერთო გამარჯვებას იძლეოდა.

ბოლო ხანებში ბევრს ეწერთ და ელაპარაკებოდ ქართული ჭიდაობის როლზე, საქართველოს ბევრ რაიონში ფართოდ და ინტერესით ამ ეროვნული სახეობისადმი მარადიც გაიზარდა და, იქნებ, სიმბოლურიც არის, რომ პირველივე ოქრო, რომელმაც დიდი გამარჯვების მოგვიტანა, ნაღდად ქართული ოქრო იყო — გარესარია. შეჯიბრების პირველსავე წუთზე მაღაზე ბეროშვილმა ელვისებურად შესრულა ფიანდი, წმინდა გამარჯვების ნიშნად არბიტრმა ზელმართა ხელი — „იაპონი“!

ამსოლუტურ კატეგორიაში მოასპარეზეთა შორის ბეროშვილი თითქმის ყველაზე მსუბუქი იყო — შეჯიბრების წინ მხოლოდ 98 კგ-ს იწონიდა. ფინალის გზაზე ჩვენს ფალავნებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვლადიმერ სობოდინოვი უნდა დაემარცხებინა. ამგვარი ამოცანა არც ისე იოლი გადასაწყვეტია, ოღონდ მეტოქე 160 კგ-ს იწონის. მთელი შეხვედრა მაღაზე ტაქტიკურად სწორად წარმართა, ატტაკობდა, მისი ერთ-ერთი ღირსი კი მსაჯებმა „ოქათი“ შეფასებულ გამარჯვება ერთთან დამაკვირვებელი იყო.

მეორე ქვეკვეთიდან ფინალში რსფსრ-ს ნაკრების პირველი ნომერი, მრავალ ტურნირში გამარჯვებული, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ხაბილ ბიტაშევი გავიდა. მან ზუღზედ დამარცხა ა. ეიგენზონი (დუშანბე), ს. მალეევი (ალუისი) და თბილისელთათვის კარგად ცნობილი ა. მეტლიცკი (მინსკი).

... ფინალამდე დარჩენილ ღირსი, სანამ დამამშვიდებელ ტურნირში ბრინჯაოს პრიზიორთა ვინაობა ირკვეოდა, სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი გენადი კლეტკინი მოვკვებეთ. ჩვენ ეს იბტერვიუები როგორღაც ტრადიციული გახდა. ყოველ წელს, თბილისის საერთაშორისო ტურნირის დღეებში, კლეტკინი ერთთან დაინტერესებული კაცის პოზიციებიდან საუბრობს ჭაბუკი ძიუდოს პრობლემებზე, ჩვენს მოქმედებებზე, ნაკლზე თუ მიღწევებზე.

— ორი თვეა დარჩა მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატამდე. რა პრობლემები გაქვთ ნაკრებში?

— გუნდის დაკომპლექტების თვალსაზრისით, ნებისმიერ შეჯიბრებას ცვლილებები შეაქვს ჩვენს გეგმებში. ბუნებრივია, უამთავარი კორექტივი შეიტანა სასპარტაკიადო ტურნირმაც, რომელიც ყველაზე სერიოზულ შეჯიბრებად მიმაჩნია. ახლა გაუთავებელი ვთამაშობ 95 კგ წონით ქატეგორიაში— ხუთწლიანი დავიწყებით, შეიძლება, გოგიბაშვილი... თქმული ტურნირში გამარჯვებულ ტატამზე, დანარჩენებიდან კი ვერც ერთი გადაურჩა წაგებას. დამეთანხმებით, მთავარ ერთის შერჩევა იოლი საქმე არ იქნება. პრიზიორები დათმეს ფავორიტებმა 65 კგ წონაში (სოლოდუხინი და სხვები). აქ განსაკუთრებით მიხდა შეჯახო ჩემი თანამემამულე რამაზ მარგველანი (ქალაქური სეზონიდან დაბადებული და კარგა ბანს ცხოვრობდა ქიდიც იქ). ეს ახალგაზრდა, უთუოდ ნიჭიერი ათლეტი ბედაჰეტმა და პარიზში მყავდა შეჯიბრებებზე, სასპარტაკიადო ტურნირში კი პირველი გაიცა ყველა. რაზეში იმ ორიენტაციური მანეულის მოქმედებით დაინტერესებული კაცის — ვგულისხმობ ბიდეციანელ და კუზნეცოვისთანა ძიუდოისტებს — ვისთანაც პრძოლა ძალზე უჭირთ ევროპელებს, იაპონელებს. ვნახოთ, მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენს ძირითად მეტოქეებად იაპონელები რჩებიან. უკვე ცნობილია, რომ მოსკოვში ოფიციალურად იასპარეზებს იასუხორო იამასტო. ეს იმას ნიშნავს, რომ ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენლებს ორი „ოქრო“ ფაქტიურად განალღებული აქვთ. დანარჩენებს, ვფიქრობ, ვიპოვნებთ.

— თბილისის უკანასკნელი საერთაშორისო ტურნირის შედეგმა თქვენ უკმაყოფილება გამოთქვით ძიუდოს ქართული სკოლის მიმართ...

— დიახ, რომ ჩვენი მოჭიდავეები ქვეყნის მთავარი ნაკრებიდან მობრუნების შემდეგ კარგავენ სპორტულ ფორმას, თუ არ ვცდები, ვითარება შეიცვალა.

— სასაყვედურო ახლა მართლაც არაფერი მაქვს. მახარებს თქვენი ბიჭების მომზადების დონე. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ არის. ახალი მწვრთნელები როგორც ჩანს, ბევრს მუშაობენ, სულით და ხორცით გეგდთან არიან. ოღონ ვგულისხმობ, ზოგჯერ, საკუთარი შეილებივით დასტრიალებენ ხოლმე ხოლმე ხოლმე სპორტსმენს. ამას შედეგი უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც: გულით გულისკენ ბრუნვილად გამარჯვებას. თუმცა, ვისაც ოდნავ ერ ყველაფერი არც იყოს დამთავრებული. მოდით, ეს უკანასკნელი შეჯიბრაც ვნახოთ...

(გაგრძელება მე-2 გვ.)

23 ივლისს ვ. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დიდ სპორტულ სარბიელზე საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა VIII ზაფხულის სპარტაკიადა.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: (ზემოთ) დიდი სპორტული სარბიელი ზეიმის დროს; მარჯვნივ: საქართველოს სსრ სპორტული დელეგაცია; სპარტაკიადის ეგიდით ათენოს; (ქვემოთ) სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ბენშიონი — საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრება გუნდი.

ოლიმპიური ჯილდოები — საბჭოთა სპორტსმენებს

სსრ კაშშირის სპორტკომიტეტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ე. გრამოვი 23 ივლისს შეხვდა სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადის სპატაკო სტუმარს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ხ. ა. სამარანჩს.

საუბარში, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებს შეეხო, მათ განიხილეს სპაიკრასა და ლოს-ანჯელესის მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები. პრეზიდენტი „ოლიმპიური სოლიდარობის“ რეალიზაციაში სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სოკ-ის თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

სოკ-ის პრეზიდენტმა ოლიმპიური იდეალების პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და შესანიშნავი სპორტული მიღწევებისთვის ოლიმპიური ორდენის ვერცხლის ნიშნები გადასცა ოლიმპიურ ჩემპიონებს ლიდია პოლოზკოვას (სკოლტოკი) და ვიქტორ სანეევს.

ხ. ა. სამარანჩმა გამოაცხადა, აგრეთვე, სოკ-ის გადაწყვეტილება საბჭოთა სპორტსმენის ს. შალიბაშვილის სიკვდილის შემდეგ მისი ოლიმპიური ორდენის ვერცხლის ნიშნით დაჯილდოების შესახებ.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ს. ჭრედი, საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ივანინი, რსფსრ-ის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, სოკ-ის წევრი ე. სმირნოვი.

(ტასი).



საქართველოს ფალავანი სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონია!

ბაბრძოლება

მაღლობის თქმაც ვერ მოვასწარი, ტატამიზე ფინალური ორთაბრძოლა დაიწყო.

პატარძალი — ბეროყაშვილი.

დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ ქართველი ფალავანი უკეთ იყო მომზადებული ამ გადამწყვეტი შეხვედრისთვის. ორი წუთის შემდეგ ბიტაძეშვილ დაღლა შეეტყო, ბეროყაშვილი კი უფრო და უფრო გააქტიურდა. მალე-ზე პირველი ქულა მსაჯებმა არ შეაფასეს. ერთი ერთი ფანდი და ბიტაძეშვილ ბეჭებით დაეცა ტატამზე — „ეიპო"! არ ვიცი, ტრავმა გამოდგა სერიოზული თუ მეტოქემ მოინია ეიფორიაზე. ბრძოლის გადმოცემა ნიშნავდეს ბრძოლის გადმოცემას, ბიტაძეშვილ შეწყვეტა წინააღმდეგობა საქართველოს ახსოლუტური ფალავანი სპარტაკიადის ჩემპიონად ვაცხადებ.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა (უფროსი მწვრთნელი ზ. ხაბულიანი) 288,5 ქულა მოაგროვა, 27 ქულით გაუსწრო თავის მთავარ მეტოქეს, რსფსრ-ს ნაკრებს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. III ადგილზე ბელორუსების ნაკრები — 141,5.

ი. ბაბიაშვილი.

● ● ●

ს უ რ ა თ ე ბ ი: სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ახსოლუტური ჩემპიონი ქალაქ ძიუდოში ბერიკაშვილი მეხსიერებას გადაეშვება გუდაშკაცივით.

სანდრო-სანქიოროშის ფოტო.

● კლასიკური ჭიდაობა სპიმდო დასაწყისი

ბოლო ილეთი ძალზე ეფექტური გამოდგა: ყაზარაშვილი მარჯვენით ჩაიფრინდა, ელეგანტურად შეტრიალდა და კისრულით წვიმიელი მეტოქე. გურიაბოლმა წრე შემოხაზა და ხალიჩაზე გაიშხლართა. ეს მოხდა შეხვედრის უკანასკნელ წამებზე. აქამდე მოპოვებულ 10 ქულას კიდევ 4 მიემატა. 14:0 — წვიმიდა გამარჯვება!

ასე გახსნეს ახგირიში საქართველოს მოჭიდავეებმა.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ ცსკა-ს უნიკუმსალურ სპორტულ კომპლექსში განაახლა მოჭიდავეთა სასპარტაკიადო ტურნირი — ამჯერად ბრძოლაში ჩაებნენ კლასიკური სტილის მოჭიდავეები. სპარტაკიადის მეკლიკენ მიმავალი გზა რომ მხელი ეჩვენა, ამაში ეჭვი არავის ეპარება — სარბიელზე გამოვა ყველა უძლიერესი სპეციალისტი „კლასიკოსი". მათთვის ამ შეჯიბრების განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება — მსოფლიო ჩემპიონატამდე, რომელიც კიევში გაიმართება, ზუსტად ორი თვე რჩება და, ცხადია, ძირითადად სწორედ სპარტაკიადის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება ქვეყნის მთავარი გუნდის შემადგენლობა.

რსფსრ, ბელორუსია, საქართველო, მოსკოვი, უკრაინა — აი, ის გუნდები რომლებიც სპარტაკიადაზე ფავორიტებად ითვლებიან. საქართველოს ნაკრებში 4 მსოფლიო ჩემპიონი გამოდის — თვრა ყაზარაშვილი (48 კგ), თეიმურაზ აფხაზავა (82), მიხეილ სალაძე (100) და ვახტანგ ბლაგიძე (52). ეს უკანასკნელი უკვე ორჯერ ფლობდა ამ ტიტულს, 1980 წელს კი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონიც გახდა. მათ გარდა, სპარტაკიადაში გამოვლენ გურამ მაკარაშვილი (62), დავით ლატარია (74), პაატა ყუთუხოვ (82), ზაურ ფიქნაშვილი (90), უშანგი თევდორაძე (100) და ავთანდილ მათსურაშვილი (+100).

პირველ დღეს წონასწორი შებჯენები გამართეს 48, 62 და 90 კგ წონით კატეგორიაში ათლეტებმა. როცა დილის პროგრამა დამთავრდა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელები და გუდაშკაცები ქმაყოფილნი იყვნენ — საშივე ქართველმა მოჭიდავემ დაუმარცხებლად განვლო I და II წრე.

უმჩატეს წონაში, სადაც სულ 12 სპორტსმენი გამოდის, ორი გამეცდილი ლიდერი — თ. ყაზარაშვილი და მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ხ. უშკემპიროვი (ყაზახეთი) ერთ ქვეჯგუფში მოხვდა. უშკემპიროვმა სტარტზევე ტრავმა მიიღო და შეჯიბრება ვერ გაგრძელა, ყაზარაშვილმა კი, როგორც დასაწყისში თქვა, ჯერ გურიანოვი (რსფსრ) დამარცხა წმიდად, შემდეგ კი ტატიელი დ. ნაგუჩევი (9:3). II ქვეჯგუფში დაწინაურდა მოსკოველი ვ. სავჩუკი, რომელმაც ორივე მეტოქეს იოლად სძლია.

62 კგ წონით კატეგორიაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გ. მაჭარაშვილმა აშკარა უპირატესობით დაამარცხა ფრუნზელი ა. ჯოხუპოვი (10:1), II წრეში კი ვაღაზე ადრე მოუგო ვრეველ ჯ. კორძორაძს (8:2 წუთზე, როცა მაჭარაშვილი 11:0-ს იგებდა, კორძორაძის პასუხრომბისთვის მეჯიბრებიდან მოხსნეს).

განსაკუთრებით გაგვახარა მარტყოფელმა ზ. იფანაშვილმა — კლასიკოსთა სასპარტაკიადოდ ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ. მართალია, ივანაშვილს ახალგაზრდულ შეჯიბრებაში არაერთი გამარჯვება აქვს მოპოვებული (იგი ორჯერ იყო მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადის, სამ კაშირის იუნიორთა ჩემპიონატების, ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის ჩემპიონი), მაგრამ ასეთ წარმომადგენლობით ასპარეზობაში პირველად გამოდის და, როგორც დილის ორთაბრძოლებმა დაგვიმტკიცა, არც ეშინია არავის უყოყმანოდ ტოლს. პირველ წრეში დავაბრძოლეთ მეტიჩ ხ. მოლოდეცი (რსფსრ), რომელსაც გამოცდილება და ტიტულები საკმაოდ აქვს. 3:2 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა ქართველმა ფალავანმა, შემდეგ კი აშკარა უპირატესობით მოუგო არანაკლებ ძლიერ მეტოქეს, ტალინელ ვ. ლიაშენს.

სალამის გაიმართა „კლასიკოსთა" სასპარტაკიადო შეჯიბრების საზეიმო გახსნის ცერემონიალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან საგანგებოდ მოწვეულმა მეზობლებმა და ქართული ჭიდაობის ოსტატებმა. შემდეგ კვლავ განახლდა წონასწორი შებჯენები. III წრეში ყაზარაშვილი ისევ ნებიერად, მაჭარაშვილი კი ერთხმად 1982 წლის ჩემპიონს რსფსრ) შეჰყრა. პირველ პერიოდში ხასიათლოვი დაწინაურდა (2:0), შემდეგ მაჭარაშვილი იყო გაცილებით აქტიური, მაგრამ მხილოდ ქულის აღება მოახერხა და დამარცხდა.

კვლავ შესანიშნავად იჭიდავა ივანაშვილმა. მან უალრესად დაბეჭდილი შეხვედრა მოუგო ლენინგრადელ მ. ბარანოვს — 3:1. ამ წონაში სამ წრეში გამარჯვებას მიაღწია 1981 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ი. კანდიანმა (ბელორუსია).

ასე დამთავრდა შეჯიბრების პირველი დღე. გუშინ ამავე წონით კატეგორიაში გრძელდებოდა წინასწარი შეხვედრები, შეჯიბრებაში ჩაებნენ 52, 74 და 100 კგ წონის მოჭიდავეებიც. სპარტაკიადის პირველი ჩემპიონები დღეს გამოვლინდებიან.

ე. ბერიშვილი.

● ფეხბურთი მთავარ ფინალში

მოსკოვის, ივანოვის, ტულისა და რიაზანის სტადიონებზე დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის წინასწარი სფეხბურთო შეჯიბრებები ქვეჯგუფებში. გათამაშების ბოლო დღისთვის ფინალში მონაწილეობის უფლება გაანაწილებული ჰქონდათ მხოლოდ უკრაინის ფეხბურთელებს, ხოლო დანარჩენი 7 საბურთის მფლობელები გამოვლინდნენ ბოლო ტურში, 24 ივლისს:

I ქვეჯგუფში. მოსკოვი — ყირგიზეთი 5:0, ყაზახეთი — რსფსრ 0:0.

II ქვეჯგუფში. უკრაინა — აზერბაიჯანი 3:0, სომხეთი — უზბეკეთი 2:1.

III ქვეჯგუფში. ლიტვა — ბელორუსია 1:1, თურქმენეთი — ლატვია 1:0.

IV ქვეჯგუფში. საქართველოს ფეხბურთელებმა ქვეჯგუფის ბოლო შეხვედრა ტაჯიკეთის გუნდთან წარმატებით ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. ლენინგრადსა და მოლდავეთის გუნდებმა ერთმანეთთან ფრედ თამაში — 1:1.

ამრიგად, I ქვეჯგუფში გაიმარჯვეს მოსკოველთა და რსფსრ-ს II ქვეჯგუფში — უკრაინისა და სომხეთის, III ქვეჯგუფში — ლიტვისა და ბელორუსიის, IV ქვეჯგუფში — მოლდავეთის, დონეცკისა და ქართველის გუნდებმა. დანარჩენი კოლექტივები იასპარეზებენ IX-XVII. დადგელებისთვის.

დებიუტის თანამად დაკომპლექტდა 2 ნახევარფინალური ჯგუფი, რომელთა მონაწილენი ბრძოლას გაიარძლებენ სპარტაკიადის ჩემპიონობისთვის, „ა" ჯგუფის გუნდები თამაშებენ მოსკოვის სტადიონებზე (მოსკოვის, სომხეთი, ლიტვა, საქართველო), ხოლო „ბ" ჯგუფის გუნდები — რიაზანში (უკრაინა, ბელორუსია, რსფსრ, მოლდავეთი). თამაშები დაიწყება 27 ივლისს.

საბოლოო მდგომარეობა ქვეჯგუფში, სადაც საქართველოს ფეხბურთელები გამოდიოდნენ, ასეთია:

	ო.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მოლდავეთი	3	2	1	0	5—2	5
საქართველო	3	2	0	1	4—3	4
ლენინგრადი	3	1	1	1	2—2	3
ტაჯიკეთი	3	0	0	3	2—5	0

ქართველი ფეხბურთელები 27 ივლისს შეხვდებიან მოსკოველებს, 29 ივლისს — ლიტველებს და 31 ივლისს — სომხეთის ნაკრებს.

● ფუალჟეშა ცურავა რეკორდებით

კიევში გრძელდება სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადის ფინალური შეხვედრებები წყალჭედ სწრაფ ცურვაში. კიეველმა ს. უსენკისამ 800 მეტრზე ფარფლებით 7.15,6 აჯობა. ამ სახეობაში ვიდა მსოფლიო რეკორდი დაამყარა, აგრეთვე, ოშკელმა ს. ტკლაშვილმა 6.39,59.

მსოფლიო მიღწევა გაუმჯობესეს მონსკელმა ვ. შეკერამ, რომელმაც 800 მ 6.21,96 წუთში გაცურა და ნოვოსიბირსკელმა რ. ოჭკიაბრსკაიამ (100 მ ფარფლებით — 44,5).

● პაღრაკი უშელავათო ბრძოლები

ვილაბარაშვილი სასპარტაკიადო შეჯიბრების მთავარ ფინალურ ტურნირზე ქვირს III ტურის შეხვედრები გაიმართა.

საქართველოს და ლატვიის გუნდების შეხვედრა შეწყდა ანგარიშით 2.5:2,5, სამი პარტია დადგა.

გუნდების ლიდერები ო. გიორგაძე და მ. ტალი ყოიმით დაყმაყოფილდნენ. რთული ბრძოლა გაიარეს ძველმა მეტოქეებმა ბ. გურგენიძემ და დიდოსტატმა ვ. ბაგიროვმა. მაგრამ პარტია დაუმთავრებელი დარჩა. მართალია, ქართველ დიდოსტატს ოთხივ უარესი პოზიცია აქვს, მაგრამ მანც ყველია მოსალოდნელი. ყიამზე შეთანხმდნენ ზ. აზმაიფარაშვილი და დიდოსტატი ა. გიმსონისი, გ. ხაინაკი დამარცხდა საერთაშორისო ოსტატ ა. ელოვანის პარტია. ქართველ მოჭადრაკეს პოზიციური უპირატესობა აქვს. შეეძლო დაეზარა ვ. გუფერლს, რომელსაც ს. ტურუა შეცვალა, მოიწია ახალგაზრდა სა-

(დასაბრძელი 3-ე გვ.)



ერთი დღე „დრუჭბას" თაღებქვეშ

ბევრ სასპარტაკიადო ტურნირს დაესწრებიან (ერთხელ თვითდაც ვმონაწილეობდი), მაგრამ ახლა რომ მოვიფიქრებ ბრძოლის პირობები ამქვს, ასეთი არასოდეს ჰქონიათ. „დრუჭბის" უნიკალურობა სპორტული დარბაზი (აგრო 1979 წ., ტრენ. ქ. თამაზ მაჭრიკიანი) შეიძლებისმიერ განსხვავდება ყველა — დიდი სივრც, სინათლე, სუფთა ჰაერი...

დარბაზის კედლებში, რომელიც პოლის, ფრენბურთის და სხვა მოძრავი . თამაშებისათვის არის განკუთვნილი, მოჭადრაკეებს საუკეთესოდ მოთავსებულნენ. მათ უზომოო შეჯიბრებასაც საკმაო მაყურებელი ჰყავს. მართალია, დგას სულ რამდენიმე სიდენშტრატიო დაფა (თითოეული გუნდის მხოლოდ სამ პარტიას აჩვენებენ), მაგრამ ტრიბუნების პირველი რიგიდანაც კარგად ჩანს თუ რა ხდება დაფებზე.

თამაშები გრძელის ხმაზე იწყება. მსაჯთა კოლეგია დიდოსტატ ი. ივერაბაძის თავკაცობით ოდნავ შემალულიც ადგილზეა, საიდანაც სარბიელი ხელისგულივით ჩანს. თითოეულ მატს თავისი მსაჯი ჰყავს.

სარბიელზე მონაწილეების, მსაჯების და ფოტოკორესპონდენტების გარდა არავის უშვებენ.

პრესცენტრის ჭერნალ „ზამთარ ვ სსსრ"-ის რედაქტორის მოადგილე, საიროშორისო ოსტატი, 72 წლის ბ. იუდოვიჩი ხელმძღვანელობს. აქ ბევრი ახალი და საინტერესო ამბის გაგება შეიძლება, თუნდაც იმისა, რომ ფიდე-ს პრეზიდენტმა თვითნებურად დანიშნა ამერიკაში ყასპაროვ-კორჩნოის მატჩი.

— მე „თეორი ეტლის" საყვარშორო გათამაშების მთავარი მსაჯი ვიყავი ამას წინათ და ჩემი ერთი დაკვირვება მინდა გაგიზიარო, — მთხრობა ბ. იუდოვიჩმა, — ჭოთაანის გუნდში თამაშობდა 9 წლის სოფიკო ნოკოლაძე. გამაოცა ამ გოგონამ. ვფიქრობ, კარგი მოთამაშეა. ვფიქრობ, კარგა მოკაცალი აქვს. მაგრამ მალულების მისი ძალიან სოსტი ფიზიკური მომზადება. საჭიროა ღრმად ბრძენმა. დღიდანაი კი გვიფრთხილე, მაგრამ ფეფერაციამ მაინც უნდა იფიქროს კონტროლზე...

მაღე ტრიბუნებიც აივსო. კარგი ადგილები „დაეჭაშნათ" ჩვენი გუნდის ქკიმს ა. ლონდაძის, მწვრთნელებს ოსტატ ი. ჩიქოვანს და გამოჩენილ ეტიუდისტს დ. გურგენიძეს, მაიას ღილოს — ნ. ნოკრიაძეს. აჭვი თბილისის პიონერ-კის ფიფერაციის თავმჯდომარეს ა. კუჭავა.

ჩვენების გეიჩიდით თვალი მოკარი ცნობილი სახვითი ბიბლიოგრაფს ნ. სახორციე.

— დღეს ქართველებს ვეჭიმავდ, პირველ ყოველ, ნონასი და მაიას. თქვენ ძლიერი გუნდი გყავთ, დარწმუნებული ვარ, ფინალში გახვალთ, — ამბობს იგი.

...დარბაზის ფოეში იყიდება საჭადრაკო ლიტერატურა: წიგნები, ჟურნალები, სპეციალური ბიულეტენები. აქ შეიძლება გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის" რედაქტორს გ. ანტონოვს. მან მითხრა, რომ 1985 წლისთვის მზადება „საბჭოთა საჭადრაკო ენციკლოპედიის ერთტომეულზე, რომელშიც საკმაო ადგილი ქართულ ჭადრაკსა და მის მოღვაწეებს დაეთმობა.

მისვლა-მოსვლაში, საუბრებში შეიქმნებოდა მილია ხუთი საათი. გაისმა თამაშის დამთავრების მაუწყებელი გონგის ხმა. მაისიც აიმალა და ჭიაზვილების ბუღეს დაემსგავსა დარბაზის კედლები.

— სასიამოვნოა „დრუჭბაში" თამაში. აქ ნათლად გრძნობ ფიდელ-ს დეკიზის სიმართლეს —„ჭვენ ერთი ოჯახი ვართ", — თქვა დიდმეიდანებისას მსოფლიოს ეჭიჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა.

თ. პიროსკაძე.

(„ლელო" სპეც. კორ.)

მოსკოვი — თბილისი.

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა

უშეღავათო ბრძოლები

დასასრული

ერთათრისტო ოსტატ ე. ქინგასთან ეთამაშა. შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა. უპირატესობას ლატვიელი მოჯადოკე ინარჩუნებს. მ. ჩიბურდანიძემ მოუგო ოსტატ ა. გოლდშანს, ხოლო ნ. გაფრინდაშვილი დაუზღვია ახალგაზრდა ოსტატ ა. შაფრანსკაიას.

ლენინგრადისა და სომხეთის გუნდების შეხვედრის ბედნიერება 4,5:1,5 (2 გადადებული პარტია). ლიდერების ო. ვაპახიანისა და მ. ტატინაშვილის პარტია გადადეო ლენინგრადელი დიდოსტატის უპირატესობით.

ურალისელი მოჯადოკეები დაწინაურდნენ მოსკოვის გუნდთან შეხვედრაში — 3:2 და სამი გადადებული პარტია. ა. კარპოვმა — ა. ბელიაფსკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ საბურნინო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: საქართველო — 11 (5), მოსკოვი — 10 (5), ლენინგრადი — 10 (4), ლატვია — 9,5 (5), უკრაინა — 7 (10), სომხეთი — 5,5 (9).

გუშინ ფინალისტებმა გადადებული პარტიები დაამთავრეს. დღეს, 26 ივლისს გაიმართება IV ტურის პარტიები. ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვი — საქართველოს, უკრაინა — ლენინგრადისა და ლატვია — სომხეთის გუნდები.

რ. თავაძიანი.

● ჯიუი

„ოლიმპიურის“ რინგზე

3 აგვისტოს VIII საკავშირო სპარტაკიადის მოკრივეთა ტურნირის წინასწარი ბრძოლები 63,5 და 71 კგ წონის კატეგორიებში. პირველ წონაში ჩვენი რესპუბლიკიდან გაგრელი რ. ჩირაგბაია ასპარეზობდა. მისმა გამოსვლამ საამოვნებელი მოუტანა მაყურებელს. მასთან შეხვედრით ტატამიდან მეტოქეს ლატვიელ მოკრივე ვ. ლაუგალეს ჩრინებაიან ბრძოლას საკუთარი ტაქტიკა მოახვია თავს და ახლო ბრძოლაში ჭიდას ჭიდაობა ამრეგებდა. გაგრელ მოკრივეს ბრძოლის სადავეები შეხვედრის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია და დამსაჯეებელად გაიმარჯვა. იმ დღეს რინგზე გამოსულნი თბილისელი უ. არისტაკაისი (71 კგ) ძალზე დაბალ ბრძოლაში დამარცხდა საკავშირო ახალგაზრდული ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულ ლენინგრადელ ბ. საგრადსთან.

24 ივლისს სპორტკომპლექს „ოლიმპიურის“ რინგზე გამართულ შეხვედრაში საქართველოს სამი წარმომადგენელი იბრძოდა. ი. სავრჩინი (57 კგ) მოსკოველ ე. ჰუსაინოვთან სპარტაკიადაზე თავის მეორე შეხვედრას ატარებდა, რომელშიც იგი დამარცხდა, ხოლო 60 კგ წონაის კატეგორიაში თბილისელმა ს. სარქისიანმა პირველსავე რაუნდში ნოკდაუნში გაგზავნა ესტონელი მეტოქე გ. პოლოვიანი. იგი შემდგომშიც აქტიურად იბრძოდა და შეხვედრის ბოლოს სამივე მსაჯს გადაწყვეტილება ერთსულოვანი ეყო — ყველამ ჩვენი მოკრივე ცნო გამარჯვებული.

მძიმე წონის მოკრივე ცხინვალელი ა. ბიბეკოვიც ცრუდად ბრძოლა — პირველ რაუნდში მისი ძლიერი დარტყმის შემდეგ ყირგიზელი სპორტსმენი ვ. აქშონოვი ნოკდაუნში აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი მეორე რაუნდში შეეცადა დაეფუძვებოდა ინიციატივას, მაგრამ ამაოდ. შესამე რაუნდში ბრძოლა გათანაბრდა. შეხვედრის დამთავრების შემდეგ მსაჯმა გამარჯვების ნიშნად ხელი აუწია აჭრელ-ანჩველს.

25 ივლისს მოკრივეები მეოთხეფინალურ ბრძოლაში ჩაებმებიან.

● ავტომობილიზმი

საპრიზო ადგილზე

მინსკი. სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადაზე ავტოსამოდელო სპორტში გათამაშებული სპორტი ჯილდოებისა და პრიზების უმრავლესობა გადაეცათ გუნდურ პირველობაში გამარჯვებულ ლენინგრადელ სპორტსმენებს. თუ პირველი და მეორე პრიზიორები (რსფსრ-ის გუნდი) ტრადიციულია, საქართველოს სპორტსმენთა წარმატება ჩვენში ავტოსამოდელო სპორტის პიონერობის ზრდის ნათელი დადასტურებაა, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის დოსაფის სპორტის ტექნიკური და სამხედრო-გამოყენებითი სახეობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ვ. ლეონენკომ.

სასპარტაკიადო შეჯიბრებები საბჭოთა ავტომოდელისტების გენერალური რეპრეზენტაცია იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

საპრეზიდიუმის პრეზიდიუმი რაგლოსაბრძოლო სწრაფი მოდელით: 1. ბ. არაკელიანი (ლენინგრადი), 2. ვ. ოლეინიკი (ბელორუსია), **3. შარიბაშვილი** (საქართველო).

საერთო გუნდური შედეგები ავტოსამოდელო სპორტში: 1. ლენინგრადი — 2552 ქულა, 2. რსფსრ — 2875, **3. საქართველო** — 1684, 4. ბელორუსია — 1295, 5. მოსკოვი — 1266, 6. უკრაინა — 1228. (საკდესი).

● ძალოსნობა

რეკორდებით აღნიშნეს

ქუთაისი. ლუგანის სტადიონზე სპარტაკიადის ცეცხლი აინთო, მოსკოვის მეორე ბოლომ, „იზმაილოვოს“ სპორტის სასახლეში ეს მოვლენა რეკორდით აღნიშნა 22 წლის ძალოსანმა ო. მირზოიანმა (სომხეთი) — მან გამარჯვა ორჭიდზე 56 კგ წონით კატეგორიის ათლეტთა შორის და მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 287,5 კგ-ით. მანვე მსოფლიო რეკორდი დასძინა შეჯიბრება ატაცმა — 127,5 კგ. ხოლო აკეთაში შესაე რეკორდი დაამყარა (აჩვენა საკვშირო — 160 კგ). ორჭიდეში მეორე ადგილზე გავიდა ბულგარელი ძალოსანი ნ. დიმტროვი, რომელიც გამარჯვებულს 2,5 კგით ჩამორჩა, მესამეს იყო მოსკოველი ო. კარიაბინი — 265 კგ.

60 კგ წონის აღებულებში წარატებულ კვლავ სომხეთის წყრმომადგენელს, 21 წლის ვრიგენ სტეფანეს ი. სარქისიანს ხვდა წილად. მან 172,5 კგ აკრა და თავისივე საკვშირო რეკორდი 2,5 კგ-ით დაამძიმა.

ხარჩისინამა ორჭიდში 300 კგ მოაგროვა და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. II ადგილი და ვერცხლის მედალი ერგო კემეროვოელ ნ. ზახაროვს—297,5 კგ. ბრინჯაო წილად ხვდა ვრიზნოელ ო. ივლეზანოვს — 287,5 კგ.

პირველ დღეს 52 კგ წონაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდს მონაწილე არ გამოუყვანია. მომდევნო წონაში (56) ვ. ბაღათურიას ასპარეზზე შეგახსენებთ, რომ ჩასთვლელ ქილებს ძძლევიან 8 საკავშიროს შორის მოხვედრილი ძალოსანი. ორჭიდის ჯამში ბაღათურიამ და ტაჯიკეთის წარმომადგენელმა რ. ტუღეგანოვმა VIII-IX შედეგი (235 კგ) აჩვენეს, მაგრამ ტუღეგანოვი ჩვენს ძალოსანზე 150 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და VIII ადგილიც მას მიეკუთვნა. მომდევნო ორ წონაში საქართველოს გუნდს მონაწილეები არ ყოლია.

გ. კოკოშვილი.

კიდევ - სამ სახეობაში

კლასიკური ჭიდაობა, ტყვიასა და სასტენით სროლა დაემატა მოსკოვის სასპარტაკიადო ბატალიებს, რომელიც ახლა ერთდროულად 8 სპორტულ ბაზაზე მიმდინარეობს. შაბათ-კვირის ტურნირი დაამთავრეს სინქრონული ცურვის ოსტატებმა და მთელი ისტატებმა. შეჯიბრებას სინქრონული ცურვაში ბოლო დღისაც მრავალი მაყურებელი ჰყავდა სპორტულ კომპლექსს „ოლიმპიურში“. ანკარა, ცისფერად მოღიცვენილ წყალი, სპორტსმენთა გემოვნებით შერჩეული ნაირფერი კოსტიუმები, ცეცხლოვანი მელოდიები ხალას მატებდა მონაწილეებსაც და მაყურებელსაც.

ფინალურ ასპარეზობაში ერთიანთ შორის გამარჯვების სპეციალისტები ერობაც უწინასწარმეტყველებდნენ მოსკოველ ირინა პოტაპოვკინას. საბჭოთა სინქრონული ცურვის ალიარებული ლიდერი დასკვნით ასპარეზობაზე საუკეთესოდ გამოვიდა, ტექნიკურად, ლამაზად შეასრულა ყველა ელემენტი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულს VIII სპარტაკიადის გამარჯვებულის სპორტი ფლობაც დაუმატა — 180,4 ქულა. მისმა თანაგუნდელებმა მარინა ჩერნიაევამ (172,44) და სვეტლანა პოდოსინოვამ (171,18) ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მარინა ლარინა (140,73) და ნანა პატარაია (134,38) შესაბამისად მე-12 და მე-14 ადგილზე დარჩნენ.

წყვილთა ასპარეზობის ფინალში, როგორც ეწინასწარა, მონაწილეობის უფლება მიიღო ჩვენი რესპუბლიკის დუეტმაც — ტატიანა დენისა და მარინა ლარინამ.

გოგონებმა მონდომებით, საკმაოდ მოხდენილად შეასრულეს ვარჯიში (30-ანი წლების პოპულარული საცეკვაო მუსიკის თანხლებით), 70,37 ქულა მიიღეს, საერთო ჯამში 138,17 ქულა მოაგროვეს და VI ადგილზე გავიდნენ.

— ბრძოლა სპარტაკიადაზე საკმაოდ მწვავე იყო, — უთხრეს ჟურნალისტებს პრეს-კონფერენციაზე ლარინებმა. — გამოვიტყვებით, რომ V ადგილს ვგეგმავდით, ვიცევა საბჭოთა სპორტის ღირსება და არ ჩამოვრჩე ამერიკელ და კანადელ სპორტსმენებს, რომლებიც დღეს ტოხს ამტკიცებენ სსრკ სინქრონული ცურვის ოსტატებსა.

— სპარტაკიადა ზენიტშია. დღეს სპარტაკ აილებენ კოდეკ ერთი საჭიროების, ველოსპორტის წარმომადგენელები, რომლებიც „ტრიალ ცისკენ“ ოლიმპიურ ველოდრომზე იასპარეზებენ.

ო. ნიშაძე.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ი: წყვილთა სინქრონული ცურვაში სპარტაკიადის ჩემპიონები ე. ოხაძოვა (მარცხნივ) და ი. პოტაპოვკინა.

ა. კოტრიკაშვილის ფოტო.

სპარტაკიადის ჟამი

ალა-ათაში დამთავრებულ საგზატკეცილო გუნდურ ველოსიპედოსნებში სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის პრიზიორები გახდნენ უკრაინის (2:03.24,13), ტაჯიკეთისა (2:04.00,54) და ყაზახეთი (2:05.51,74) გუნდები.

ძალოსნობა. 56 კგ ორჭიდი. 1. ო. მირზოიანი (სომხეთი) 287,5 კგ, 2. ნ. დიმიტროვი (ბულგარეთი) 267,5, 3. ო. კარიაბინი (მოსკოვი) 265, 4. ვ. დენჩიკი (რსფსრ) 262,2, 5. რ. დიუ (ბელორუსია) — 257,5, 6. ვ. დანილენკო (უკრაინა) —255.

1000-ზე მეტი ჟურნალისტი...

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი ლუჟნიკში დიდი სპორტული ფორუმის მოწაწილე ყველა დელეგაციის, ყველა გუნდისა და ყველა ჟურნალისტის მასპინძელია.

სწორედ აქ არის მოთავსებული VIII სპარტაკიადის შტაბი და მთავარი პრესცენტრი. აქ იყრის თავს მთელი სასპარტაკიადო ინფორმაციათა ნაკადი, რომელიც ოპერატიულად გადაეცემა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ეთერში, სამაორებო ოფისს, რომ მომდინარე სპარტაკიადას აშუქებს მარტო ათასამდე სპეციალური ჟურნალისტი. პრესცენტრმა (ხელმძღვანელი — ჟურნალ „ფიზკულტურა და სპორტის“ მთავარი რედაქტორი ანატოლი ჩაიკოვსკი) უკვე გამოუშვა 12 საინფორმაციო ბიულეტენი. აქ შეიძლება მიიღოთ ინფორმაცია ნებისმიერი სასპარტაკიადო სტატის შესახებ. ამიტომაა ერთი წუთითაც რომ არა აქვს მოსვენება პრესცენტრის ტელეფონებს...

VIII სპარტაკიადაზე დამყარებული მრავალი რეკორდი — სასპარტაკიადო, რესპუბლიკური, საკავშირო, მსოფლიო. ყოველივე ამის შესახებ ზუსტი ცნობებია თითქოსდა მწვანე ფიცრებზე სანოტრაბაციო ბიულეტენებში.

მაგრამ მარტო სპორტული შეჯიბრებებით როდი ცხოვრობენ სპარტაკიადის მონაწილენი, სტუმრები, ჟურნალისტები. თავისუფალ დროს ისინი ათვალიერებენ მოსკოვის მუზეუმებსა და გამოფენებს. მათთვის ეწყობა შეხვედრები შეფებთან, პოპულარულ სიმღერების ავტორებთან და შესრულებლებთან.

სპარტაკიადის პრეს-ცენტრში გაგეგებით ე. წ. „რესპუბლიკის დღეების“ გამართვას — პრესის მეშვეობით მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან, საუკეთესო სპორტსმენებთან.

(„დილის“ კორ.).

● უკანასკნელი ხაზით

მინსკიდან სასტენით მოედნებზე გუშინ დამთავრდა გუნდური შეჯიბრება **ბრავო ბენჩზე სხრილში.** პირველ ადგილზე გავიდნენ აზერბაიჯანელი სპორტსმენები — 580 ქულა მეორე ადგილი ხვდათ უკაზიანის მსროლელებს — **579,** ასეთივე შედეგით **შესახე ადგილი** დაიკავეს **მოსკოვის** სპორტსმენებმა — ო. ბრანოვმა, ნ. შინკარენკომ, ა. შინკარენკომ და ა. შინკარენკომ. შემდეგ მოდიან: ბელორუსიის (576), რსფსრ-ს (576) მოსკოვის (575) ნაკრები ჯგუფები.

● რეგბი

დღეს ლაიფციგში

დღეს ლაიფციგში გაიმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკასა და სსრ კავშირის პირველ ნაკრებ გუნდებს შორის, იგი დაგეგმილია წლევანდელ საერთაშორისო შეხვედრათა პროგრამით და მიზნად ისახავს ჩვენი გუნდის მზადებას ევროპის ჩემპიონატის მომავალი შესარჩევი თამაშებისთვის.

მართალია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა წარუმატებლად ჩაატარა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები და ადრევე გამოეთქვა ფიქრალის საბურთის მაძიებლებს, მაგრამ ეს გუნდი მუდამ მძიმე მეტოქეს იყო უგულისთვის, მას მხედველობაში მიეწევენი აჭედ მოპოვებული საერთაშორისო სარბიელზე. კერძოდ, ოლიმპიური თამაშების, ამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელებს კარგად იცნობენ სპორტულ საქართველოში.

წლევანდელი პირველი საერთაშორისო მატჩი გდრ-ის ფეხბურთელებმა ტულისში გამართეს იქაური ეროვნულ ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 (ბურთები გაიტანეს შტრიხიმა და კიენმა). მცირე ხანს შემდეგ გდრ-ის ნაკრებმა შინ მიიღო სპეციალისტების გუნდი და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1 (რიხტერი, შტრიხი).

16 მარტს გდრ-ის ნაკრები მადეპერგში შეხვდა ფინეთის გუნდს და კვლავ გაიმარჯვა — 3:1 (შტრიხი, რიხტერი–2).

30 მარტს ლაიფციგში გაიმართა ევროპის ჩემპიონატში მეტად მნიშვნელოვანი შესარჩევი მატჩი გდრ-ისა და ბელგიის ეროვნულ გუნდებს შორის. დამთავრდა ბრძოლაში გაიმარჯვეს ბელგიელებმა — 2:1 (გერმანელთა მხრივ ბუტრი გაიტანა შტრაიხმა).

ამის შემდეგ გდრ-ის ნაკრებმა შინ დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები — 3:0 (შტეინბახი, შტრაიხი, ბუსე), შემდეგ კვლავ დამარცხდა, ამჯერად სტუმრად, ბელგიელებთან — 1:2 (შტრაიხი).

14 მაისს გერმანელები ბერნში შეხდნენ შეიცარიის გუნდს (ამხანაგური მატჩი). თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

გდრ-ის ფეხბურთელთა ნაკრებს სათავეში უდგას მწვრთნელი ჯ. კრაუზე. ნაკრების შემადგენლობაში გამოვიან ფეხბურთელები: რუდვალატი, შეუპპაზე, ბაუმი, ტროლმეი, კიენერი, შრამანი, ლიბერისი, ტრომპა, შტეინბახი, ტრაუტმანი, ერნსტი, პილეი, შტრაიხი, კიენი, ჰეუნი, რიხტერი, ბუსე, მინგი, ბილოუ და სხვანი.

რ. შენგელია.

გაიმარჯვა „სასლმენმა"

გასულ შაბათს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარდა სსრ კავშირის პირველობის მორიგი ტურის მატჩი რუგბიში. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" მიიღო ქუთაისის „სახლმშენი".

შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 0:0. მეორე ტაიმში სტუმრებმა საგრძნობლად უმატეს ტემპს და ნაჭიდბიომ დაიწინაურეს თავისი გუნდი — 3:0. მატჩის დამთავრებამდე ქუთაისელებმა რეგბისტებმა კვლავ შეძლეს მოწინააღმდეგის „ჭალჯის" ღობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 7:0.

ს უ რ ა თ ი დ ე: მატჩის მომენტი.
ჯ. ხუბუას ტექსტი და ფოტო.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

ორი გამარჯვება

ჰიათურია და სანჩერის სტადიონებზე მიმდინარეობს „სიბუხეთის თასის" საკავშირო გათამაშების ნახევარფინალური მატჩები ლოკომოტივის ცენტრალური კომიტეტის პრაზზე. ასპარეზობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ცსტ-ისა და ლიტვის, ლატვიის, უკრაინის, თურქმენეთისა და საქართველოს მოზარდთა გუნდები.

პირველ ტურში ქართველი ფეხბურთელები შეხვდნენ თურქმენეთის გუნდს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ბიცენაძემ და ქვაბანძემ.

ამ ტურში ცსტ-ელებმა დაამარცხეს ლიტველები — 2:1, ხოლო მოსკოველებმა დიდი ანგარიშით სძლიეს უკრაინის გუნდს — 10:0.

II ტურში ყურადღების ცენტრში იყო საქართველოსა და მოსკოვის გუნდების შეხვედრა. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა დიდი მონდომებით ჩაატარა მატჩი და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს ლომძიგ, კუღუმბეკოვმა და ბეკოდვამ. სხვა გუნდების შეხვედრებში: ყაზახეთი — ცსტ-ელთი 2:1, თურქმენეთი — ლიტვა 0:0.

დღეს ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვი — თურქმენეთი, ლიტვა — ყაზახეთი, ესტონეთი — საქართველო.

ი. ბოჭორიძე.
(ტელეფონით, ჩვენი ხაზ. კორ.)

● კალათბურთი

მსოფლიო ჩემპიონატზე

ზაირის ნაკრებთან გამარჯვებით 115:40 (59:22) ჩაბნენ მსოფლიოს IX ჩემპიონატის საბჭოთა კალათბურთელი ქალები, რომლებიც ბრაზილიის ქალაქ პორტუალეგრეში („ს" ჯგუფი) გამოვიან. მათთან ერთად ასპარეზობის ფინალში გასასვლელად იბრძვიან ჩინეთისა და კანადის ეროვნული გუნდები. ჩინელმა სპორტსმენებმა დაამარცხეს კანადელები — 74:66 (33:38), ქალაქ ბრაზილიაში კი, სადაც მიმდინარეობს „ა" ჯგუფის შეხვედრები, კუბელები დამარცხდნენ სამხრეთ კორეელებთან 67:77 (39:38), ხოლო ბულგარელმა კალათბურთელებმა დაჯაბნეს პარაგუელები 99:44 (46:22). რიო-დე-ჟანეიროში მიმდინარე „ბ" ჯგუფის შეხვედრებში პოლონეთის ნაკრებმა სძლია ავსტრალიელებს — 73:66 (35:25), იუგოსლავიელებმა კი იაპონელები დაამარცხეს 90:56 (48:24).

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

პრეზიდენტების თასზე

გრანდელება II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო პრეზიდენტების თასის გათამაშება მოგვყვის განვლილ შეხვედრათა შედეგები:

„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ვეშაპი" (ტყიბული) 3:2, „ლოკომოტივი" (ფოთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0, „დინამო" (სოხუმი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:4, „ვეშაპი" (ტყიბული) — „ტორპედო" (ქუთაისი) 4:2, „ვეშაპი" (ტყიბული) — „ტორპედო" (ქუთაისი) 4:2, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ვეშაპი" (ტყიბული) 3:2, „ლოკომოტივი" (ფოთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0, „დინამო" (სოხუმი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:4, „ვეშაპი" (ტყიბული) — „ტორპედო" (ქუთაისი) 4:2, „ვეშაპი" (ტყიბული) — „ტორპედო" (ქუთაისი) 4:2, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ვეშაპი" (ტყიბული) 3:2, „ლოკომოტივი" (ფოთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0, „დინამო" (სოხუმი) — „სპარტაკი" (ოზურგეთი) 5:3, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ოლიმპია" (არტაშატი) 1:1, „ზაზარი" (ლენქორანი) — „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) 4:1, „ყარაბახი" (სტეფანწმინდა) — „არაზი" (ნახიჭევანი) 2:0, „ლიმანია" (არტაშატი) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) 3:2, „არაზი" (ნახიჭევანი) — „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) 2:2.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

დავობენ...

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადწყვიტა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი საუბიოდ გაიხსნას შეიოლ „აცტეკას" ატაციონზე 17 მაისს, ამ დღეს ეროვნულის უნდა შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონი — იტალია და მასპინძელი — მექსიკა.

მაგრამ ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირი წინააღმდეგია მსოფლიოს XIII ჩემპიონატი 17 მაისს დაიწყოს. ამასთან დაკავშირებით უეფა-მ განცხადება გამოაქვეყნა იმის თაობაზე, რომ მაისში ჯერ კიდევ გრძელდება ევროპის ეროვნული ჩემპიონატები, მიმდინარეობა კონტინენტის საკლუბო ტურნირების ფინალური შეხვედრები და ამის გამო მოითხოვს მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყოს უფრო გვიან, 1 ივნისის შემდეგ.

ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა ამასთან დაკავშირებით იმედი გამოთქვა, რომ ორივე მხარე მიაგნებს კომპრომისულ შეთანხმებას, ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყოს 24 ან 25 მაისს.

წლევანს, იკლისის ბოლო რიცხვებიდან, ფიფა მიიღებს განაცხადებს 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის, დეკემბერში კი დადგინენ შესარჩევი ჯგუფებიც შემდგომი ეტაპებისთვის.

1982 წელს ესპანეთში შეიმუშავეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კონტინენტებს მონაწილეობის ლიმიტი და, ეტყობა, ეს დადგენილება ძალაში რჩება: 13 ადგილი მიეკუთვნა ევროპას (მე-14 გუნდი იქნება ტანაღი, როგორც მსოფლიო ჩემპიონი), 4 ადგილი მიეკუთვნება სამხრეთ ამერიკას, 1 — ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებს (ამას დაეთმება მექსიკა, როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორი), 2-2 ადგილი განაწილდება აზიისა და ოკეანიის, აფრიკის, ფერიკასთის.

1985 წლის დეკემბერში, შესარჩევი თამაშების დამთავრების შემდეგ, მოეწყობა 24 ფინალისტი გუნდის წილისყრა, დაამპლეტენება 4 ჯგუფი (6-6 თითოეულში) ფინალის პირველი სტადიის თამაშებისთვის.

ბრაზილიელთა პრობლემები

ბრაზილიის საფეხბურთო წრეებში დიდ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელების ნამდვილი ნაღირობა გამართეს უცხოელთა, უმთავრესად, იტალიის მდიდარმა კლუბებმა. სპორტულ მიმომხილველთა ცნობით სამი ეზიები არა მხოლოდ რამდენიმე გამოჩენილი ფეხბურთელის გადახირებას, არამედ ისეთი ვირცელ, ტოტალური მასშტაბის აქციებს, რომელიც არსებითად გამოიწვევს ფეხბურთის დაქვეითებას ბრაზილიაში. ეს ქვეყანა უნდა დატოვონ უძლეირესმა ფეხბურთელებმა, რომელთა გარეშეც ნაკრები გამოიფიტება და, როგორც ეს უკვე მოხდა 1982 წელს ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, ფაქტობრივად შეუთანხმებელი გამოვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ბრაზილიის გაზეთებში დიდი მთქმელ-მოთქმელია იმის თაობაზე, რომ საშობაოდ ეს არა იტალიაში უნდა თამაშობს ზიკომ, ფალკომ, სოკრატესმა, სერენზომ, ეტენიომა და მრავლმა სხვამ. ფეხბურთელთა ამ ემიგრაციას" გამო აღშფოთება გამოუქვამა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ჯ. პარეირამაც. მან განაცხადა:

— ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების წამყვანი მთამაშეები ბრაზილიაში უნდა იმყოფებოდნენ, ამჟამ კლუბებში ითამაშონ და თავიანთი პირადი მაგალითით ბევრი რამ ასწავლონ ახალგაზრდებს, მათი რეგულარული მონაწილეობა ამხანაგურ თუ ოფიციალურ შეხვედრებში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და თუ არ გვეყოლა სოკრატესი, ზიკო, სერენზო, ეტენიო, ფალკო და სხვა მათი მსგავსნი, ჩვენ ფაქტობრივ გამოგვაცლებენ წამყვანი ფეხბურთელები, თამაშის ინიციატორები. მოკლედ ვიდრე შეჯიბრებზე მათი შინ ჩაბრუნება საჭირო არ შეიქმნა, გამოდის, რომ ბრაზილიის ნაკრები თავიდან უნდა შეიქმნას.

გუნდს უხელმძღვანელებს სივრცე

როგორც კანადის კლუბ „ტორონტო ბლაზრიზის" დირექტორატმა გამოაცხადა, ამიერიდან გუნდის მთავარი მწვრთნელი იქნება ნაწარსულში განთქმული ფეხბურთელი ო. სიეროი.

კანადის ეს გუნდი თითქმის მთლიანად ატლანტიკის ეროვნულებისგან შეიცვება. ამ ახლა „ოლიმპიურსოდან" გადავიდა ბუტაზეი.



ახალგაზრდა ხუთჭიდელთა ნარჩატება

პრაღა, 25 ივლისი. ბრატისლავაში, იუნიორ ხუთჭიდელთა საეროთაშორისო ტურნირზე, როგორც ვირაც, ისე გუნდურ ჩათვლაში, გაიმარჯვეს ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც 15320 ქულა მოაგროვეს და 32 ქულით გაუსწრეს მეორე პრიზიორ —ჰოლანდიის გუნდს. პირად ტურნირში უძლიერესი იყო ა. მაკეიევი (მოსკოვის ოლქი) — 5200.

მოწოდების სიმაღლეზე

პოლონეთის ქალაქ ნალენჩუვში დაიმართება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის, პოლონეთის, კუბის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის მოჭადრაკეები მონაწილეობენ.

I ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის, საერთაშორისო ოსტატმა ა. სოკოლოვმა (მოსკოვი) — 8,5 ქულა.

ნაკლები

კვლავ 15 რაუნდი

ვენა. (ესოდის საერთაშორისო ასოციაცია) ხელშეკრულებამ გაანაცხადა, რომ მისი სისტემით მოწყობილი მატჩები კვლა 15-რაუნდიანი იქნება. ეს ცნობა ვენა-მ იმეტომ გამოქვეყნა, რომ მისი კონკურენტი ეძე (ესოდის საერთაშორისო კონფედერაცია) 12-რაუნდიან ბრძოლაზე გადავიდა.

„სასამართლო რა საბირაო!"

ამერიკელი სენატორები ა. ამიოტერი (პენსილვანიიდან შტატი) და რ. პეკინგი (ორიგონის შტატი) მაგიდის ჩოგბურთის თამაშის დროს წაილაპარაკნენ. ამის შედეგად გაიმართა მუშტკრივი, სპიოტერს ყბა დაუზიანდა.

გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" კორესპონდენტის კითხვაზე, ხომ არ უჩივლებს პეკინგს სასამართლოში, დაზარალებულმა მოუგო: — არა, რატომ? ჯ, შემდეგ რომ შევხვდები, ადგებენ და კარგად დავლილავებ თვალს.

რბენის დიდი მოტრფიალე

ცნობილი ინდოელი მხატვარი, 81 წლის ჯანაბრი ნავიკ რბენის დიდი ენთუზიასტია. ამის წინათ იგი მონაწილეობდა ხანგრძლივ გადაბრენაში კაშმირ-დელის მარშრუტით (1000 კილომეტრზე მეტი) და ამ მანძილს 34 დღე მოუნდა. ნავიკს ასეთი გამოთქმა ეკუთვნის: „რომ იცოცხლო, სჯობია ყოველდღიურად ფეხით საკმაოდ შორს იარო, რომ დიდხანს იცოცხლო, ამისათვის საჭიროა ყოველდღე სირბილი".

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-56; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პრობლემების — 93-97-51; მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობის — 93-97 53; ჰიდრაულ — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომცემლები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ: № 14. ტირაჟი 34 000 ეგზემპლარით. ს. გაზეთო კორპუსში, ბოზარაულის. 29. ინდექს 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ფას 07673